# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 250

„9" ივნისი 2023 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა №173, სახლი №2-ში, კორპუსი №3-სა და კორპუსი №6-ში (საკადასტრო კოდები: №01.16.09.001.002, №01.16.09.001.003 და №01.16.09.001.020) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტებისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა №173, სახლი №2-ში, კორპუს №3-სა და კორპუს №6-ში (საკადასტრო კოდები: №01.16.09.001.002, №01.16.09.001.003 და №01.16.09.001.020) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 31 მაისის №23.784.854 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა №173, სახლი №2-ში, კორპუსი №3-სა და კორპუსი №6-ში (საკადასტრო კოდები: №01.16.09.001.002, №01.16.09.001.003 და №01.16.09.001.020) არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ამავე დანართით გათვალისწინებულ პირთათვის, გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.
2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

*დანართი N1*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ქალაქი თბილისი, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173, სახლი N2, კორპუსი N3 და კორპუსი N6 (საკადასტრო კოდები: N01.16.09.001.002; N01.16.09.001.003 და N01.16.09.001.020) | | | |
| N | სახელი გვარი | პირადი ნომერი | ფაქტობრივად დაკავებული ფართი (კვ.მ) | საკადასტრო კოდი |
| 1 | გიორგი ლაფერაშვილი | 01005033050 | 50.9 | 01.16.09.001.002.01.514 |
| 2 | მაია გოგაშვილი | 01020013509 | 65.57 | 01.16.09.001.002.01.506 |
| 3 | ბახვა ქოქაშვილი | 01030011299 | 51.45 | 01.16.09.001.003.01.526 |
| 4 | ლეილა ბუიძე | 25001038154 | 49.21 | 01.16.09.001.003.01.521 |
| 5 | ლელა მგელაძე | 33001020352 | 35.98 | 01.16.09.001.003.01.512 |
| 6 | ესმა თორდია | 19001028497 | 75.74 | 01.16.09.001.020.01.038 |